



ქართული ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ორშაბათი.

ივლისის 28.

(ივლისის 15)

1919 წელი.

№ 58.

30/1919

20

ფასი

3 მან.

ყოველ-კვირული სამრეწაბლო გაზეთი სალი კლდე

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სახაბლის ქ. № 5

ტელეფონი № 19--66

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

გაზეთის ფასი წლის დამლევაზე

50 მან.

შინაგასი

შ. ჭარუშიძე, ქართულ ბონებისთვის. რ. გაბაშვილი, პასუხი ინგლისს. ი. გველესიანი, უცხოელ მწერლებისათვის...

მესს-ჯავახელნო, ბორჩალოელნო, სვანნო, მოხევენო, თუშ-ფშავ-ხევესურნო!

დაფუძნებული კარვის დამატებითი ანჩევენების დროს 10 აპრილს

ხ მ ა მ ი ე ტ ი თ

ქართულ ეროვნულ პარტიის

სიახ № 8

რომლის პირველი კანდიდატები არიან

პარლამენტის უფ. წევრნი:

გ. ვაჟაბული, შ. ქარუშიძე, დ. ვაჩაძე, რ. შაბაძე, მ. შაბაძე, დ. ჯავახიშვილი.

ვთხოვთ ჩვენს თანამოაზრეთ, რომელთაც კავშირი აქვთ განაპირა კუთხეებთან, ან და მიემგზავნებოდნენ იქით, და საერთოდ რაიმე დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ...

თანამოაზრანო! დაეხმარეთ „სალი კლდე“

ფონდის გააძლიერებას.

ძალა ახალციხეში

გამოდის ყოველ კვირეულად ეროვნულ პარტიის ორგანო

„მეხსეთ-ჯავახეთი“

რედაქტორ გამომცემელი ლადო მაჭავარიანი.

ახალციხის საქალაქო არჩევნები

ქართული ეროვნული პარტიის სია № 5.

- 1. ახალციხის ალექსანდრე ოსების ძე, ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე, ენთელის წყლის საღებავის კომიტეტის თავმჯდომარე, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე და მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე.
2. ხახუტაშვილი დიმიტრი გრიგოლის ძე, დეკანოზი.
3. კრ-ხელო იოხაი შამშიანის ძე, რაზინის მოადგილე.
4. ბათნაშვილი ალიოზ გრიგოლის ძე, პატრი.
5. ასათიანი ივანე გაბრიელის ძე, ექიმი (უბარტო).
6. ფირალიშვილი ლევან სიმონის ძე, მეურნე.
7. მაჩაბელი ბახშირე სულეიმანის ძე, მუსულმანურ დივიზიონის ოფიცერი.
8. ხუციშვილი დავით მიხაილის ძე, ტყის უფროსი (უბარტო).
9. გვარამაძე კონსტანტინე ივანეს ძე, მასწავლებელი.
10. დურგლიშვილი მიხეილ სერგოს ძე, რაზინის უზნის კომისარი.
11. მუსხელიშვილი მარიამ ნიკოლოზის ასული, ხარჯთაყრ. ინსპექტ. მოხელე.
12. ალელიშვილი რაფიელ იაკობის ძე, ფოსტის მოხელე.
13. ბეგიშვილი რაფიელ აგუსტინის ძე, ფოსტის უფროსი.
14. გვარამაძე კონსტანტინე ივანეს ძე, კომერსანტი.
15. გოშალიშვილი სტეფანე პავლეს ძე, მეურნე.
16. ეფენდიევი ახმედ ალი ეფენდი ზადე, მეურნე.
17. ფილიჩვი კონსტანტინე პანაიოტის ძე, მთიჯვარადე.
18. ალელიშვილი როზალია გრიგოლის ასული.
ქ. შ. წ. კ. გ. სახ. სამკ. ხაზ.
19. მურადოვი ნადირ-ბეგ ასლან ეფენდი ზადე, მასწავლებელი.
20. ასათიანი სამონ გრიგოლის ძე, პროვიზორი.
21. მეფისაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, კომისარის თანამშემწე.
22. მღებრიშვილი გაბრიელ გრიგოლის ძე, უზნის კომისარი.
23. ჩიჭვანი სიმონ ყათრანის ძე, ციხის უფროსი.
24. მდივანი შალვა დავითის ძე, სათადარიგო ოფიცერი.
25. მაისურაძე იოს. პავლ. ძე, აფთაპის პატრონი.
26. ერეკლეშვილი პეტრე ივანეს ძე, ფერწალი.
27. ერემაშვილი ანა ნიკოლოზის ასული ქ. წ. კ. გ. ხ. თამჯდომარე.
28. ხითარიშვილი ალექსანდრე პავლეს ძე, მასწავლებელი.
29. გვარამაძის თამარ მიხეილის ასული, ხაჭვ. სახ. სამ. წევრი.
30. ნიეგერტისა ქეთევან დიმიტრის ასული, კომისარიატ მოხელე.
31. წაღაძე მიხეილ პავლეს ძე, კორესპონტი.
32. დურგლიშვილი ალექსანდრე სერგოს ძე უფროსი მილიცი.
33. ტატიშვილი ვლადიმერ დავითის ძე, ფოსტის მოხელე.
34. დურგლიშვილი ვლადიმერ ფრანცისკეს ძე სტუდენტი.
35. დიდუმაშვილი სოფია ივანეს ასული, მასწავლებელი.
36. ივთხანიშვილი გიორგი აგუსტინეს ძე, მაზრის კომისარ. მოხელე.

თფილისი 28 ივლისი.

ქართულ გონაპირობისათვის

ჯერ კიდევ პარლამენტში ჩვენ შემთხვევა გვეკონდა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი ქართულ ბონების გამოცემის შესახებ. ჩვენ მაშინ მთავრობას ვაჩქარებდით, მის პოლიტიკურ-ეკონომიურ მნიშვნელობაზე უფროსად. მაშინ ყურად არ იღეს და უფრო უკლებლივ „საქართველო“-ს ეკონომისტის რჩევა მიიღეს, რომელიც სასტიკათ ეწინააღმდეგება პატარა სახელმწიფოების მიერ საკუთარი ბონების გამოშვებას (იხილეთ მათი წერილები ანგურბეიანის ბონების წინააღმდეგ). საქართველოს სახელმწიფოებრივმა ევოლიუციამ, რაც ჩვენთვის უმთავრესი მოტივი იყო, აუცილებელი გახდა ეს ნაბიჯი. არსებითად ეკონომიურ ღირებულებათა სწორ დენაში ნაკლებ შედეგებს იქონიებს ეს ნაბიჯი, რადგან ისევე ძველ, საშინელ პირობებში გახდის იგი.
მას ვერ თამაშობს საკუთარი ვალიუტა, სახელმწიფოს არა აქვს დამუშავებული, განსაზღვრული ბიუჯეტი, რყევას განიცდის სახელმწიფო და კერძოთ მეურნეობა, ბაზარი სავსე გამოფიტულ ფულის ნიშნებით, ასეთ პირობებში ძნელია ის სასურველი შედეგები მოგვიტანოს, რომ საქართველოს ძირიან ფესვიანათ შეიცვალოს ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ამდენხანს წინ ეღობებოდა ამ ნაბიჯებსა და რომელიც სრულ ბანკროტობის მიიყვანა ჩვენი ცხოვრება.
ჩვენი მთავრობა დღემდის თავის იმედებს ამყარებდა დაგროვილ დოვლათზე, სამეჭვად მანქანაზე, მდიდარ სოფელზე და უცხო კაპიტალზე.
ვგონებთ, ერთი წლის მწარე წარსული კარგი გვაკეთილი უნდა იყოს კუყის სასწავლებლათ. ქონება და დოვლათი გაიფლანგა და შეიქმმა „სტანაკი“ გაცვდა, სოფელმა არამც თუ ფული არ გამოიღო, თითონაც კრიზისს განიცდის. მან ვერც დაუგროვებოქროს ზინები, ხარჯებზედაც ისე აკლავს, რომ მთავრობა სკანდალის ასაცილებლად თავიდან იშორებს და ერობას იწერს კისერზე.
სოფელი გაცვდა ტანსაცმელით, გაცვდა საწარმოვო იარაღით, სახლით და საქონლით. ფულმა დაჰკარგა სამყარო მნიშვნელობა და თავის ნაწარმოებს სოფლის თვითონვე სჯამს. მიღებულმა კომიტეტების სისტემამ მთლიან გაიწინა ქვეყანა, ჩაჰკლა კერძო ვაჭრობა და დახშო ძლიერი კოოპერატიული მოძრაობა.
უცხო კაპიტალი ჯერ არ გხვდებოდა და ძნელია მისი მოლოდინი, როდესაც ჩვენში ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიურ კურსს მეფობს, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება ყოველივე საქმიანობას.
ჩვენს მეთაურებს „სტანაკი“ ამსტერდამ-ბერნის წრეებზე აქვთ, მხოლოდ როგორც მოგვსენებთ ამ წრეებს ჯერ კაპიტალი არ მოგვპოვებათ. სამაგიეროთ ჩვენ ბლომათ გვეწვიენ ყველა ჯურის მოხერხებულნი ხალხი, რომელნიც მშენებრათ იჩაბხვენ თავის საქმეს ჩვენსას კი ღუპავენ.

ყველგან ტრიალებს მათი ბორბოტი ხელი და ერთნაირათ ხუთავს ქართველ ვაჭარსაც და ქართულ კოოპერატივისაც.
არაფისთვის ფარული აღარ არის, თუ რა ძალის შეადგენენ ჩვენ სამინისტროებშიც ვოიტინსკი-მრეიდერები მთელის კამპანიით.
სწორედ ამ სისტემის შედეგი გახლავთ, რომ კერძო ვაჭრობა მთლიან ჩაკვდა და არაღვალაობაში შერჩენილმა მახინჯი სახე მიიღო საშინელი სპეკულიაციისა.
სასურსათო საბჭო, ზედ „საქონლის მყიდველი ბიურო“ პირდაპირ ბორბოტ გენიათ გადიქვენ ჩვენი ცხოვრებისათვის. ძლიერ კოოპერატიული მოძრაობასაც აღარ უწყვენ ანგარის და გვანგრევენ ყველგან. თავხედობა ამ ხალხისა იქამდის მიდის, რომ ჩვენ მინისტრების კაბინეტში კოოპერატივთა კავშირსაც კი ზღაპრულ კურტაქსას სთხოვენ. (ზ-ნი მრეიდერი და „ვიცისკის“ ფირმის ჩაი.)
დაუმატეთ ზედ დაკანონებული წართმევა-იფივარიანტი ცარცვა-გლეჯის-რეკვიზიციის სახით და სრული სურათი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა თვალწინ იქმნება.
თუ ასე წავა ჩვენი გზა, უხვითთ ჩაკვლავთ არამც თუ ქართულ ბონას, არამედ ქართული ფულის და ვალიუტის იდეასაც კი.
თანამედროვე ევროპული ფინანსური სისტემა ნაკლებათ ურიგდება იმ კურსს, რომელსაც აგერ ერთი წელიწადია აწარმოებს ჩვენი მთავრობა და მართა ბონების გამოშვება მთელი სისტემის გაუზარებლად მხოლოდ იმას მოგვიტანს, რაც დღემდის მოგვიტანა.
პასუხი ინგლისს.
ქართველ საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ „ინგლისი მზათა ყოველმხრივ დავხმაროს საქართველოს და ტერიტორიულადც გაავარსოვოს მისი საზღვრები ატრან-ალთის-პათუმ-ლანსტანით, ე. ი. გაერთიანებულ საქართველოს მოუყაროს თავი, თუ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ხელს აიღებს სოციალისტურ-ბოლშევიკურ კანონმდებლობაზედა“. ამბობენ, ამ საკითხის გარშემო ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ ერთ-ერთ მინისტრს უნდა ეღობებოდა კი გამოუცხადეს ს.-დ. ფრანკოში (რაც იგივე დამუშავებული კრებაა), მაგრამ არ მიდის. ამიტომ ჩვენს მთავრობას ჯერ პასუხი არ მიუციათ.
მაგრამ ეს შეცდომაა, პასუხი უკვე მიცემულია იმის მიხედვით, თუ რა ხდება ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში, საკითხი პირდაპირ არის დასმული: ერი თუ სოციალიზმი და ამაზე ყოველდღე, რეგულაციის შემდეგ ისევე, როგორც რეგულაციის წინადადებით და იგივე პასუხი გვემის: ერი—კონტრ-რევოლუციონური ცნებაა, სოციალიზმი—რეგულაციის ბრწყინვალე გამაჯვება. გახსენეთ მკლე „ეროთობის“ მკლე აზრები 26 მაისის დღესასწაულზე: ჩვენთვის სამშობლოს დამოუკიდებლობა ფეტიში არ არის, ძიძობას არასოდეს არ უწყევდით და ეხლაც

შეგვიძლიან შესვლა უფრო ფართო სახელმწიფოებრივ ერთეულში. ასეთი „აზრის“ (?) ხალხს რა მოეთხოვება და აკი ყოველ ნაბიჯზედ ამტკიცებენ, რომ ისინი ანაცვალდებენ ერს სოციალისტურ უტოპიებზე. მართალია, ეს უტოპია-იდევნი ჩამოქვეითდა უბრალო ცარცვა-გლეჯის „კანონმდებლობაზე“, მაგრამ მით უარესია ხომა.
ჩვენ აღარას ვამბობთ იმაზედ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალური დღეგაცია, ერის ცნების მცოდნე და მისი ბედის გადაჭრულ პარტის კონფერენციას კი არ ელაპარაკება, არამედ ამ ერის ცნების უფუფურ სოციალისტების კონფერენციებს, რაიც თავისთავად საკმაო პასუხია ამ წერილის თავში დასმულ საკითხზედ და გადავიდეთ მახლობელ ფაქტებზედ.
სოციალ-დემოკრატია არ დაკმაყოფილდა ნორმაზედ ზევით მიწის ჩამორთმევით და მართმევით; 11 მკათათვის კანონით მან სულ გააუქმა კერძო საკუთრება უძრავ ქონებაზედ და ეხლა „ამხანაგების“ გუნებაზედ არის მიგდებული თუ ვის რამდენს და როგორ წარსთმევენ. არავითარი ნორმა აღარ არსებობს, იგი ანორმალური კანონია. აქაც არ შეჩერდა სოციალ-დემოკრატია და ინგლისის საპასუხოდ უკვე ახალი ბოლშევიკური კანონ-პროექტი შეუმუშავებია, რომელიც ამ დღეებში უნდა დაკანონდეს. ეს გახლავთ ქალაქების უძრავ ქონების ჩამორთმევის კანონ-პროექტი. 11 მკათათვის კანონზედ უკვე გვერდა ბაისი წარსულ ნათემის და ახლა მოგახსენებთ ახალ კანონ-პროექტზედ.
ქალაქებში, სახლის პატრონებს, თუ მიწის მფლობელთ, თუ ბაღის მექონეთ, სულ ერთია, უნდა ჩამორთვას მიწა და ყველა ზედნაშენი—400 საყენზედ მეტი რაც იქნება ქალაქის ცენტრში, 600 საყენზედ მეტი—ქალაქის შუა წელში და 1200 საყენზედ მეტი—განაპირა უბნებში. რათა? იკითხავს მკითხველი, რა მოხდა, ვინ მოითხოვა, რის შედეგია და ყველა ამ უცნაურ კითხვებზედ პასუხს მიიღებს. იმ „სოციალ-დემოკრატების კრეტინის“ (აი როგორც არიან გენერლები ინფანტერიისა და სხვა) მოხსენებდან, რომელიც წაკითხული იყო ქალაქის თვითმართველობაში 26-ნი პანიევსკიან;
მიწის დეკრეტი ქალაქებზედ უნდა გავრცელდეს, რადგან მან სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია სოფლის მცხოვრებლებში და სამართლიანობა (?) მოითხოვეს ქალაქელებიც ისეთ პირობებში ჩაეყენათ. —სამართლიანობა! ჩვენის აზრით, ოთხასი საყენი ცენტრში, 600—შუა წელში და 1200 განაპირას, სრულიად საკმარისია ქალაქის კერძო მესაკუთრებისთვის, თუნდაც ბოსტანის გასაჩენად—მცენერული ინტუიციით, რასაკვირველია, რადგან გამოკვლევას, სამართლიან შეფასებას და შედარებას აღწერას ბევრი დრო მოუწოდებოდა—ასე ბრძანებს 26-ნი პანიევი—პანიანცი რუსულად, საქართველოს დედა ქალაქში.
გარდა ამისა, რუსეთისა და ევროპის ქალაქებს ბევრი საქალაქო მიწები აქვთ და თფილისს არაა,





საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობა მასწავლებელ-მწოდელთა და ინტელიგენტურ ძალთა თანადარწობით და არჩეულ იქნა კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ზემო-სვანეთს, სადაც მუდმივად არჩევნებს. ზემო-სვანეთში არიან ძალგები, თუმცა ცოტა, რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ჩვენს მთავრობას სვანეთში წესრიგების, კანონ-სამართლის და ნორმალურ პირობების შექმნის საქმეში, მხოლოდ საჭიროა ამ ხანათ მინც მეტი ყურადღების მიქცევა.

ზემო სვანეთში შეიძლება, და საჭიროც არის, სახალხო გვარდიის შედგენა და ადგილობრივ შტაბის და-არსება, სადაც მუდმივად იქნება 25 გვარდიელი, რომელიც დამატებით მთლიანად წესრიგების დამკვირვებელი და თან სახლგვარების დაცვის საქმეში შეიძლება მოეწყო. მა-შინ შესაძლებელი გახდება ახალი ჩამართვებისა.

დამფუძნებელი კრების წევრები: გ. ცინცაძე, ხო. ვადაჭკიაი.

მასწავლებელი რაფიელ ნიუარაძე.

### კვებლიანის (ახალციხის) მხობრავთა განსჯალება.

კვებლიანის რაიონის (ახალციხის მაზრა) ქართველ-მუსულმანთა და ქრისტიანთა დღევანდელი შემდეგი განცხადება წარუ-დგინა მთავრობის თავჯდომარე ბ-ნ ნოე ყორღანიძის:

„კვებლიანის რაიონის ქართველ მუსულმანთა და ქრისტიანთა ყრილობამ დაგვავალა გამოვიცხადოთ ჩვენი უქვემდებარეობის მორჩილება და ერთგულება როგორც დღესთვის, ისეც მომავლისთვის, და წარმოვიდგინოთ შემ-დეგი მოთხოვნები, რომელნიც აუცილებელია საქართვებს მოითხოვს მშვიდობიანობის დასამყარებლად კვებლიანის რაიონში და რომელსაც დაეთანხმება ახალციხის მაზრის მმართველობაც

#### მოთხოვნებანი:

1. დემოკრატიულ რესპუბლიკამ ახალციხის დღევანდ-ლიამდე პოლიტიკური დანაშაულობა და განათავისუფლოს საბატონოში მყოფნი და გაქცეულნი დაბრუნდნენ თავ-იანთ ოჯახებში.
2. მთისპირ ადმინისტრაციული წესით ჩრქვა ამ უკან-სკენ არეულობის დროს დაბრუნდეთა ქალაქ, დაბა სო-ფიებისა, რასაც მოაქვს დიდი ვნება მომავლისთვის და და-არსდეს კომისია ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომელ-ნიც მშვიდობიანის გზით შეასრულებენ ამ ჩრქვა-ძიებას და იქნება უფრო ნაყოფიერი; კომისიაში იქნებიან ქრის-ტიანები და მუსულმანები.
3. მთისპირ ვასულ წლის გადასახადების აკრება, რა-დგან ოსმალები აქ ყოფნის დროს ხალიდ ბეის განკარ-გულებით მოიკრიბა მათ სასარგებლოდ.
4. მთისპირ ბაის დედაბა ძველ მოკრილ ხეებზედ, რისთვისაც ბაი გადახდილია ძველ მთავრობის დროს.
5. მთისპირ ის გადასახადი, რომელიც ევალებათ გლეხებს თხა-ცხვარის ძიებისთვის ტყეში, რომელიც ყო-ველად მოუხრებელია, რადგანაც მიმეტეხული სოფლები დასახლებულია ტყის განაპირს და არც ძველად ეკრძა-ლებოდა, აკრძალვა შეუვალია იყოს.
6. კვებლიანის მოსახლეობა აპირებენ (ზედა აქარა) თხოვლობის ჩვენთან შემოერთებას, რადგან მუდამ ერთი გვაქვს საქმე და აღზე-მიცემა, ამისთვის გიხოვთ დაავა-ლოთ ბალშიბე მზაბელს, რომელსაც დიდი ნდობა აქვს დასახლებულთაგან ჩრდილ მხრით, ითავის და შეგვარდის, უამისთო ყოველად შეუძლებელია ჩვენი შემოხმება მათში და ტყეში.

დღევანდლის თავჯდომარე ივანე მერაბიშვილი.

### საპარტიველ და სამართავური საპარტიალი.

ჩვენ უნდა ვივით დარწმუნებულნი, რომ როდესაც პარტიის საზავო კონფერენციას დაიძინს საკითხი ყო-ფილ რუსეთის იმპერიაში ახლათ აღორძინებულ რესპუბ-ლიკათა ცნობის შესახებ, შესაძლოა რომ მან უარყოს ჩვენი დამოუკიდებლობა მხოლოდ რაიმე კომპრომიტულ ინ-ტერესის მიხედვით, თუ ჩვენი უარყოფა მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება, მაგრამ თუ კონფერენცია გაუწყებს ჩვენ რეს-პუბლიკას პირობებულ კრიტიკას, თუ იგი ასწონ-დასწო-ნის ჩვენს სახელმწიფოს საერთაშორისო და სახელმწიფო უფლებების მიხედვით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ექვს გა-რეშეა, რომ საქართველო, როგორც სუვერენული სახელ-მწიფო იქნება საქების აღიარებული.

ჩვენს თავს ნებას მიეცემ მოვხსენოთ მითხველს ჩვენს რესპუბლიკაზედ საერთაშორისო და სახელმწიფო უფლებ-ის თვალსაზრისით იმ მიზნით, თუ რამდენით უფლება-ყოფილია იგი, როგორც სახელმწიფო ერთეული. მე გან-ზრახ აუხვევ ვერდს იმ ფუნქციებს, რომლიდანაც შე-სდგება განცხადებით შეგნება სახელმწიფოს და განვიხი-ლავ საქართველოს რესპუბლიკის მხოლოდ საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი უფლებათა თვალსაზრისით, ვინაიდან საქართველო მოელს უდიდეს გამოცდის საუ-კუნოებთ არსებულ სახელმწიფოთა წინაშე, რის შემდე-გაც იგი შეიქმნება წევრი საერთაშორისო კავშირისა.

გერავინ მიგვითითებს ჩვენ ისეთ სამეცნიერო მსა-ლაზედ, რომელიც გვიკარნახებდეს, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია წინასწარ გამოარკვეული მცხოვრებელთა მინიმუმი ანუ მაქსიმუმი, ანუ ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული რიგი მმართველობისა. დემოკრა-ტიული იქნება იგი თუ მონარქიული, ანუ ტერიტორიის exsistensminimum-ი.

პროფესორ შერშენევიჩის განმარტებით სახელმწი-ფო არის: „ერთი კავშირი, დასახლებული გამოარკვეულ საზღვრებში და მყოფი ერთი ძალის ხელქვეითი“.

ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს შეუძლიან მიიჩივოს შემოხმენებელი განმარტება. „ერთი კავშირი“ პროფესორის ხსნის არა როგორც ნაკითხა კავშირის, არა-მედ ერებს, შეერთებულს სოციალურათ და კომპაქტურ-ათ. საქართველოს სახელმწიფოს ბურჯის შეადგენს ქარ-თველი ერი, მქონებული თავისი ისტორიისა, კულტურისა და აგრეთვე სახელმწიფოებრივი არსებობის, და თუ მის

სიცრუეზედ სცხოვრობენ სხვადასხვა ერები, ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება და არ აფერხებს მის სახელმწიფოე-ბრიობას. ასეთი ერთა სხვადასხვაობა ნამეტურათ ემნე-ვა სატანტო ქალაქებს, მაგრამ ეს ხომ ძირითადი და ბუ-ნებრივი მოვლენაა ყოველად სატანტოს; ხომ არავის მოუევა ახლათ ჩამართვის ინტელექტის მათი სატანტო ქალაქი ლონდონი მხოლოდ იმიტომ, რომ მცხოვრებელთა 40 პროც. შეადგენენ მართო ებრაელები და კონსტანტი-ნოპოლი ხომ ერთა კალენდოსკობა; მიუხედავად ამისა ზოგიერთა თავხედი პოლიტიკანები თავიანთი მიგებრი-ებთან ქართველებს ქუთაისში და, რასაკვირველია, იმი-ტომ, რომ თვლიან ბურთი და ყოველან დარჩეთ მათ, არსებობს აუარებელი წერილი სახელმწიფოები. სადაც მცხოვრებთა რიცხვი და ტერიტორია ბევრით მცირეა საქართველოზე; თუ კი კონცა, ლუქსემბურგი და სხვა მიკროსტატუსი სახელმწიფოები არსებობენ დამოუკიდებ-ლათ და თავისუფლათ, მაშ საქართველოს, რომელიც არ ჩამოუვარდება ტერიტორიით და მცხოვრებთა რიცხვით არც სერბიას, არც რუმინას, ჩერნოგორიას და ბულგა-რეთს, რატომ არ შეუძლიან ხმა მალათ აღიაროს თავისი თავი სრულ უფლებიან სახელმწიფოდ. საქართველოს არ-სებობის მთავარ საკითხთა შორის იხადება პანსლავისტურ-რი საკითხი და ეს საკითხი არის მისი უხედავსი მმართვე-ლობა (მთავრობა). თუ რომ ომის დაწყებამდე ყველა სა-ხელმწიფოთათვის საერთაშორისო უფლებებ შეადგენდა „sacer—sacretus“-ს, თუ იგი ითვლებოდა ზემოთი წმიდა განძათ, და უსათუოდ ზეგობრივ განძათ, ვინაი-დან ამ უფლებების ძალით პასუხისმგებ არ ეთანამება სას-ტო უიტიდულ პასუხისმგებას, რომელსაც თან მოხდეს ანაზღურება მატერიალურათ ანუ პირადათ (გარემოება აშკარათ აღიარებულთ მთელ ევროპის თანამედროვე სა-ხელმწიფოთა მცენიერების მიერ) მასსადამე, ჩემის აზრით, ომის შემდეგ იგი (ე. ი. საერთაშორ. უფლებებ) უნდა შე-იცვალოს ძირითადათ, ვინაიდან მსოფლიოს შენების სტრუქტურა და ექიანდ გამოდინაო სახელმწიფოებრივი მიხანშეწონილებანი მოითხოვენ მათ ძირითად გადასინ-ჯვას და შეცვლას; ვიფიქრებ, თუ საერთაშორისო უფლე-ბა აქმდის აღიარება სახელმწიფოს არსებობაში სამ უფუნქციას, რომელთა სინტეზი შედგენდა განცხადებითი წარმოდგენას სახელმწიფოზედ, როგორც ტერიტორია, ერთი და უმალესი მმართველობა (მთავრობა). ჩემის აზ-რით სახელმწიფო და საერთაშორისო უფლებათა მცენი-ერება ამ, პირველ შეხედვით, ომ მოწინააღმდეგე პოლიტეს-კითა და იგივე არსებისას, როგორც ერთი და უმალესი მმართველობა ჩამოასხვავს ერთ ყოველში. ერთი და უმალ-ლესი მმართველობა ხომ მოითავსებინა ერთ და იგივე ნიადაგზედ? სადაც არის ერთი, იქ იხადება უმალესი მმარ-თველობა, ეგრეთ წოდებული, ერთი მმართველობა. ფრად ზნირი მაგალითებით თვითმპრობობს ბაბილონის გოდოლ-თა ნგრევისა და აღორძინება მათ ნანგრევებზედ ერის მმართველობისა, ჩემის აზრით, საქმარის არაფერმეტაკია მგონია, რომ პროფეს. ტრუბეტკოის სიტყვები, რომ „სა-ხელმწიფო არის ხალხთა კავშირი დამოუკიდებლათ და განსაკუთრებულათ მფლობელი განსაკუთრებულსავე საზ-ღვრებთა შინა“—მიადილებს საკითხს. ვიმედოვნებ, რომ თუ საქართველო უნდა წარსდგეს ევროპის საზნის სა-მყავრობისა წინაშე არა ბრწყინვალე კერპის სახით, მე მგონია ოლიმპის ღმერთები არ იქნებიან მისსადამე შრის-ხანნი, ანუ იქნება საქართველოს ჩაუთვალონ დანაშაუ-ლათ მისი ჯადოსნური თავის დასნა საუკუნოების მონო-პოლიტიკაში მაგრამ გაავის კონფერენციამ ხომ დაადგინა, რომ „სახელმწიფო შეიძლება აღორძინდეს იმ მდგარი ბროლის გამო, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფოს წა-წილი საკუთარი თავდახმისათვის“.—თუ თუ საერთაშორის-ო უფლებების ულოდინარობის გამო ყოველ მომავალად მცხოვრებმა არ უნდა იცოდეს, რომ საბერძნეთი, ბელ-გია, სერბია, რუმინია და ამერიკის სხვადასხვა სახელმწი-ფოები არსებობენ თავიანთი მედგარი შეიარაღებული თავდაცვის გამო? იტალიასა და ოსმალეთის შორის ო-ზანის ზავის შეკვრამდე ბულგარეთის, საბერძნეთის, სერ-ბიის და შემთხვევით კავშირმა აწარმოვა ომი ოსმალეთ-თან, რომელიც 1913 წ. 30 მაისს ლონდონში შეკრულ ზავის თანახმად, დამთავრდა ოსმალეთის სუვერენიტეტი-საგან ოთხ ბოლკანეთის სრულიად დამოუკიდებელი სა-ხელმწიფოების აღორძინებით, და ბოლოს, თუ არა თანა-სწორი ბურების ომი დიდ ბრიტანეთთან დამთავრდა უდიდეს სახელმწიფოს გამარჯვებით, რომელმაც ხელთ უგდა უზრუნველყოფილ ჰყო ტრანსკავკასიის ოქროს მაღა-როები და სრულიად დაუსაყურაო საზნურთი აფრიკა (კრე-ტარიის ზავით 1902 წ.) ეს მონც იმას არ გვიკარნახებს, რომ ბურთა რესპუბლიკები არ უნდა არსებობდნენ და-მყოფილებლათ. თუ შეიარაღებულმა აჯანყებამ ჰპოვა მთელის ხელეეთის თვალსაზრისით თანაგობიანობა, ნუ თუ საქართველოს ეტყვიან უარს დამოუკიდებლობა იმიტომ, რომ მძაბო მკვლელობის ომში, სახარულ ანარქიაში და საშინელ გახრწანაში თავისი ყოფილი პატრონისა მან იტყრა საკუთარი კერის შენარჩუნებაზე? მაგრამ რაც უნ-და შემოხარო იყოს ხიმრდების დამანკვა, ჩვენ გვყავს, რომ ბრწყინვალე და დიდებული სიმართლე მოკავსათებს თავის აღორძინს სხივებს. ასეთი საქართველოს საერთა-შორისო ბედ-ილბალი.

ი. ადამიძე.

### სახელმწიფო საინისტრუს ისტორიული განყოფილება.

ბევრი დაიწერა სხვადასხვა დროს. იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საინისტრუს სხვადასხვა დაწესებულებებიდან უნდა განდევნილ იქნას ყველა მანვე რუსის ოფიცრები, რომლებმაც თავალი დენიკინისკენ უქირავათ, ყოველგვარ ცნობებს აწვდნენ მას და სამარეს უთხოვე ჩვენ რეს-პუბლიკას, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. სახელმწიფო საინისტრუს ისტორიული განყოფილება ნამდვილი ბუდე რუსის ხელვიან ოფიცრებისა, აქ მათ თავი მოეყრით და თავისუფლად მოქმედებენ. სათავეში ჩასდგომია ისტორი-ული განყოფილების უფროსი გენერალი ესაძე, რომელსაც, როგორც ეტყობა, მართო გვარი შერენია ქარ-თული, რადგან ქართული წერა კითხვა სრულებით არ იცის, ხელზე ატარებს ჩვენი სამშობლოს მტრებს რუს ხელოვან ოფიცრებს. აი ამის დასამტკიცებელი ფაქტებიც, არა ერთმა ჩვენგანმა ქართველმა ოფიცრმა მიგმართო გენე-რალ ესაძეს მივით მის განყოფილებაში სასახურში,

ი. ადამიძე.

ყველას ერთი და იგივე პასუხი მოგვცა-ადგილი არა მაქვს, იმავე დროს კი სამსახურში რუსის ვახუთიგებელი ოფი-ცრობა ჰყავს. ნუ თუ ეს მოსაიბენია, ჩვენ ქართველ ოფი-ცრობას ჩვენს სამშობლოში ადგილი არ გვერდეს და რუ-სებს კი. ამ სამი თვის წინეთ გენერალმა ესაძემ კა-მანდროვკაში გაგზავნა თავისი მოსამსახურე გენერალი მატაფანოვი, რომელიც უკან არ დაბრუნებულა და, რა-გორც გვეხსი, დღეს დენიკინის რაზმშია. სანამ მატაფანოვი იქ მოეწყობოდა, ჩვენი საინისტრუსის მას ჯამაგირი ეძ-ლეოდა. როდესაც მატაფანოვის ადგილი მე ვსთხოვე, ასე მპასუხა: „ის ეგებ კიდევ დაბრუნდეს“. ეხლა ახალი შტატები დაამტკიცა მთავრობამ. ამ შტატებით სამი ად-გილი უნდა დაიკალოს ისტორიულ განყოფილებაში, ეს რომ გავიგე, ხელ ახლავ მიემართე გენერალ ესაძეს თხო-ვნით, რათა მივედ, მაგრამ თხოვნაზე მისგან ციფრ უარი მივიღე. ახალი შტატებიც ისე მოღწევა გენერალ ესაძეს, რომ შიგ ნათევამი არ არის რომელ მოსამსახურეს „რომე-ლი ჩინის ადგილი უნდა ეჭიროს. ყველმ მოსამსახურეების ადგილები გარდა თავისა ნებით დაქირავებულთა, რითაც ის ადგილებს საქმეს, რათა რუსის ოფიცრობა თავისთან დასტოვოს. სახელმწიფო საინისტრუსი განყოფილება ერთი თვალსაზრისი განყოფილება არის სახელმწიფო საინისტრუსისა, აქ იხადება ძვირფასი არქივი, სადაც შენახულია ჩვენი ერის ისტორია 1801—1919 წლამდის. განა დასაშვებია, რომ ამ ძვირფას არქივში ხელები აფათრონ რუსის ოფიცრობამ? ერის წუთშიაც არ არის დასაშვები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამბავს სახელმწიფო საინისტრუსადმი არ მიუღწევია, თორემ ასეთ პირებს ამ ძვირფას საისტორიო განყოფილებას ხელში არ ჩაუტდებ-და.

ა.

### კორესპონდენცია ს. წინანდლი.

დღემდის თუ მეურნეს დიდი წვიმები უშლიდნენ ხელს და მუშაობაზე გულს უტრუბდნენ, დღეს დარმა გამოიდა-რა და სოფლის მუშაობას მხნობის და იმედინობის ნი-შან წყალი დაეტყო. პურის და ფხვის ნაბარის მოსავლი კარგია. სამაგირით ვენახებს დიდი წვიმების გამო ნაყარ გაუწინდა და ფუტებდა. დიდი საჭიროებაა გოგირდისა ამ სენის საწმალავად. სამწუხაროდ, სიძვირფასად რომ თავი და-ანებოს კაცმა, ძნელად იოხებება.

მისის რეფორმა „ძალიან კოკლობს“. ხალხში შეი-ქნა პისიზი ურწმუნობისა. არავის სჯერა, რომ მთავრო-ბას, რომელიც მუშათა პირდებოდა მიწას, მიწის მიცემა შეეძლოს ფულითაც.

ხალხი გაუბრის მთავრობისაგან ყიდვას და რომ შეტლება ჰქონდეს, მეშამულეთაგან საიმედოებით შეიძენდა. ეშინიანთ ამ გზით გაყიდულს მამულს ბოლოს მოდავე არა-ვინ გამოუჩნდეს. ღალის მოკრების თავდარიცავე შეუდგენ. ერთმა უკვე დაგზავნა კაპეტი (უპრაველს შემთხვევაში მეველები) ფონის მამულებიდან მოხსნულების რაოდენო-ბის აღსაწერათ. წესი ღალის გაწერისა კურობულია. მი-ლის მეველ-ეკითხება, ვის რამდენი ჰქონდა მოხსნული. „ასეთი სისუბუქე“ მთავრობასაც პრეტეს უკარავს და მეტათ სახიფათო კომპინაციების ნიადაგსაც უხვათ რწყავს.

ასე მინაწალებს ჩვენი წუთი სოფელი. ნაკლებათ თუ რითიმე განიცდება სოფელში ჩვენი „დიდი ხანა“. კულ-ტურულ ცხოვრებაზედ ნულარ ვიტყვით.

ქვეით ვიწყებ ახალციხის მაგირ. რაც იყო, ისიც აღარა გვაქვს ამ დღეში. ზნემა შეერყა, ყოველი ზნე-ობრივი საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისა შერყე-ულია. სოფელთან ერთათ ამას ქალაქც განიცდის და უფ-რო დიდის მასშტაბითაც თელავის კლუბი, სავა წიგნთ-საცავ სამეცნიერლოშიც კი ქალაქის თამაში და ქვეით არის გამეფებული.

ი. ბოლქვაძე.

## ახალციხის (ახალი) წყალსადენის აღდგენა მოვიხატის მოვლოდება.

მისულის შეიღწა!

მოგესხენებთ ყველას რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს კაცის ცხოვრებაში წყალი: იგი არის არსებითი, როგორც პური. სამუშაოთა კი სწორეთ ამ საჭიროებას არიან მოკლებულნი ჩვენი მოძინი ახალციხის ძველი ნაწი-ლის „რაბათის“. ქართველი და ამ მხრით განიცდიან გაჭირვებას.

დღევანდელმდის მათ არავინ გამოუჩინა პატრონობა ამ წყლის აცილებას; თვით იგივე კი თვისი სიღარიბით მოკლებულნი იყვნენ და არიან საშუალებას რაიმე ღონით აცილონი იგი. მაგრამ რაც ხელმოკლეობას დაუბრუნებია შეუძლებლათ გაეხსნათ, ის ძმურს, მამულიშვილურს, კაცთ მოყვარულს გულკეთილობას გუთხვებია, აუწყავებია, შე-უსრულებია. ამ გაჭირვების დროს მოძინი და გულ შემეტკივარნი რაბათში მცხოვრებთ ქართველთა მოვალენი არიან ძმობა-სიყვარულით შეხედნენ მათ. მოწინავე ნაწილმა ახალციხის ქართველობისა მიხნათ დიდო გაუჩინოს ბეჭე თვის მოძინეთ წყალი და ამიტომ შეადგინა ცადე კომიტეტი, რომელიც აგროვებს თულს ამ საქმის მალე შე-სასრულებლათ.

გთხოვთ კეთილ ინებათ თქვენი წვლილით ხელი შეუწყეთ ამ საქმის შესრულებასა და აგრეთვე ამავე მიზ-ნით შეაგროვოთ თქვენი გულკეთილ ნაცნობებში და მეგობრებში შემოწირულება. ხოლო ახალციხიდან გადასულთ სხვა და სხვა ადგილას გაორკეცებულს თხოვნით მიმართავს კომიტეტი, რადგანაც მათ იციან რაბათის მცხოვრე-ბთა ხელმოკლეობა და აგრეთვე იციან ისიცა, რომ თუ მათი მადლიანი გული და ხელი არ ჩაერგვიან ამ საქმეში, იგი ვერ განხორციელდება.

ფერო თუ წერილით ამ მისამართი გამოგზავნოს: ახალციხე რაბათის წყალსადენის და კომიტეტის ხაზი-ნადარს, ფოსტის უფროსს, რ. ბეგიშვილს.

ვინაიდან ბასარწყე განსდა  
**კონიაკი**  
 „დ. ზ. სარაჯევის“ ფირმის ყოლბი ეტიკეტებით  
**დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმის**  
**მთავარი კონსტორა**  
 აცხადებს, რომ ის აგებს პასუხს მხოლოდ იმ კონიაკის ხარისხში, რომელიც ვაცემული იქნება საკუთარ საწყობიდან (ოლგას ქუჩა, 30)  
 გაყიდა ბითუქათ და წარდგინდ სწარმოებს ყოველ დღე დილის 9 საათ, 2 საათამდის,